წელიწადი I-ლი

პარასკევი 17 დეკემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად 300 მან.

განცხადებების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი 20 მან.

4 " " 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ მიიღებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იქონიებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დღ. ... პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივნის ნახვა შეიძლება შემდეგის საათში 10 საათ. სად. 8ს.

№ 83 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 83

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ხრომალ-ასნირტლაძის

პარასკევიდან 17, 18 და 19 დეკემბრიდან იჩვენება ნაჩვენები საუკეთესო სურათი რომელიც წარმოადგენს

## იესო ქრისტეს ცხოვრებას.

— სურათი მთლიათ ამოღებულია წმინდა სახარებიდან. —

იესო ქრისტეს სურათი შეადგინა დიდებულმა სასულიერო წოდების გამოჩენილმა ამერიკელმა მადლსონში პეტრეს, და საუცხოვოდ გადაღებულია მთლიათ ფერადათ.

ეს საუცხოვო სურათი არის 4 დიდ განყოფილებათ.

5 და 6-სე განყოფ. უცნოვეთთა მიდამონი

სეანსი დაიწყება ყოველ დღეს საღამოს 5 საათზე.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზღვარგარეთ

ელექტრიკული სინათლით, მუსიკით და ოპერით.

დღეს ჩვენს ეკრანზე ძლიერი დრამა

## ნ ა ნ ა

რომანი ცნობილი ფრანგ. მწერლის ემილ ზოლას.

დასასრული

ყველაფერი კარგია,

როცა კარგად თავდება.

ძლიერ სასაცილოა.

ა ნ ო ნ ს: ორშაბათიდან 20 დეკემბრიდან მერი კაზაკოვისა.

იტალო კავკასიური ბანკის

## განყოფილება

გადავიდა თავის ახალ ბინაზე ჩილინგარიანის სახლი.

(კუთხე ლორის მელიქოვის და სანაპირო ქუჩისა.

3—2

შ ე ა ე ვ ს კ ი ს თ ე ა ტ რ ი

სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე

№ 15.

შაბათი 18 დეკემბერი

ბილ. გაუქმ.

ცნობილი ისტ. პიესა

## ო რ ი გ მ ი რ ი

გადმოკ. დრამა 3 მოქ.

რეჟისორი ი. ს. ბარბაქაძე

მონაწილეობენ: მსახიობნი და სცენის მოყვარეთა მთელი წრე.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივი ✦ დაიწყება საღამოს 8½ საათზე

ახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 25 დეკემბერს მზადდება

საზეიმო საღამო.

## განცხადება

ბათომის მუშათა მაგიდისათვის საჭიროა გამოცდილი საქმის

მწარმოებელი.

მუშათა მაგიდა.

ბათომის მომხმარებელი საზოგადოება.

კვირას, 19 დეკემბერს 1920 წ. დილის 10 საათზე შესდგება ბათომის ქალაქის თვითმართველობის შენობაში

მეორე საგანგებო საერთო კრება საზოგადოების წევრებისა.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1920 წ. და შედეგები.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. საბჭოთ გადასახადის გადიდება.
4. 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვის შესრულება და ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ზედმეტ ხარჯების შეტანა.
5. მიმდინარე საქმეები.

გამგეობა.

თანახმად საზოგადოების წესდების § 32, დღევანდელი საერთო კრება ჩაითვლება კანონიერად და მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

2—1

# განცხადება

ბათომის მუშათა მაგიდა ამით აცხადებს, რომ მან მიიღო კომისარიატ. რომელსაც დაარიგებს მუშა-მოსამსახურეებზედ. თითო ოჯახს მიეცემა ხუთ ფუნტამდე, გირვანქა 18 მანეთად.

დარიგებას შეუდგება 15 დეკემბრიდან.

ბათომის მუშათა მაგიდა

საჭიროა გამოცდილი

მ ე ბ ო ს ტ ნ ე

პირობების გაგება შეიძლება კანცელარიაში.

მუშათა მაგიდა

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

— ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა თხოვნით მიმართა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეს, რათა მის განკარგულებაში სასწრაფოდ ეშოვონ ბინა სააქციზო უწყების მოსამსახურეთ ქალ. ბათომში.

—სისხლის სამართლის მილიციის უფროსად დაინიშნა მოქალაქე ტყუკი არჯევანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათომი, 17 დეკემბერი.

საქართველო იშვიათ ხანას განიცდის. ის სახელმწიფოები ჩვენს გარშემო, რომ იყვენ დამოუკიდებლად დაიქცენ და აღარ არიან რადგან ვერ გამოიჩინეს შინაური სიმკვიდრე დემოკრატიული დისციპლინა. არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ერთი ლამაზი მსხვერპლიც არ ამშვენებს. ეს სახელმწიფონი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდენ ეროვნულ თავისუფლების დაცვის საქმეში.

საქართველო იმ თავიდანვე ხედავდა ამას და გული სტკიოდა. დღეს საქართველოს ამიერ კავკასიაში მეზობელი აღარ დარჩა, პირ იქით საქართველოს გარს ევლება ყოვლად არა სანდო ძალნი უკანასკნელ მიდის კავშირისა რუს-აზერბაიჯან და სომხის ალიანსისა.

ასეთ დროს საქართველოს მთავრობა ასრულებს, წმინდა ფიცს ხალხის წინაშე რომ იგი შეუნარჩუნებს მშრომელ ხალხს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას იღებს ყველა ზომებს მწველ მოვლენათა შესახვედრად. მთავრობამ მოახდინა ნაწილობრივი მობილიზაცია, დაარსდა ფრონტის დამხმარე კომიტეტები და ბოლოს, რაც უმთავრესი იყო გადასდგა უაღრესად მიზან შეწონილი ნაბიჯი სამხედრო სასურსათო ფონდის შესაქმნელად. ამ მიზნით გამოცემული დეკრეტი დამფუძნებელი კრების დიდმა უმრავლესობამ მოიწონა და მას დასტური დასცა.

მაგრამ როგორც ჩვეულებრივად ხდება „სოც. რევ." გაუგებრობის პარტია რომელმაც თვითონაც არაცის რას აკეთებს ამ დეკრეტის წინააღმდეგი იყო. გარდა ამისა ზოგი გაზეთი კიდევ საპროვოკაციო ენით აცნობს საზოგადოებას ამ დეკრეტს.

მთავრობამ მიიღო დეკრეტი სოფლებში სიმინდის იძულებით და მაგარ ფასებში შეყიდვის შესახებო ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

მთავრობამ დაადგინა შეძლებულ სოფლის მეურნეებიდან შეიძინოს ბაზრის ფასებთან შეფარდებით სიმინდი სამხედრო სასურსათო ბეღლისათვის.

მთავრობას მიაქვს ერთი მეათედი იმ პირნახულისა, რომელიც მიწად მომქმედს უნდა გაეყიდნა.

ამაზე უფრო დემოკრატიული და სახალხო დეკრეტი რა უნდა იყოს, ვინ იჩაგრება ამით. სრულებით არავინ. საქართველოს ფრონტის სიმაგრე სურსათზეა დამოკიდებული და ვისაც ეს არ ესმის ის ნებსით თუ უნებლიეთ ქვეყანას ღალატობს.

მთელ მშრომელ ხალხს ეს ესმის და სოფლის ხალხი მშრომელი მასა სიხარულით შეხვდება ამ დეკრეტს, ვინაიდან ხალხმა იცის, რომ ფრონტი მისი პირმშო შვილია და იგი დამშეული მისივე დამშევაა.

საქართველოს მთავრობა იღებს ყველა ზომებს ხალხის გადასარჩენად მის თავისუფლების მარადიულობისთვის და ვინც ამ დროს მას ვერაგანგარებით ხელს შეუშლის მათ პასუხს თვით ხალხი მოსთხოვს.

# ს ო მ ხ ე თ ი.

ერევანში ახალი ამბები მზადდება. გაწითლებული სომეხი გულის ვარდით უხდება მოსკოვის ბოლშევიკებს. სომხეთი აზერბაიჯანის მერე გზა და ხიდათ ედება რუსეთის იმპერიალიზმს რომელსაც ამ ჟამსა შინა სოციალისტური წამოსასხამი „ამშვენებს". ხმა გავარდა რომ ერევნის რევკომი ისე გაბგულიანა რუსეთმა რომ ცოლი ქმარზე მეტს ყოყოჩობს. ჩვენ არ გვინდა სომხებს უსაყვედუროთ არც მეტიჩარა ცოლის ბედი და არც ქინქრაქობა რომელიც ზღვას აშრობდა თავის ფრთებით, მაგრამ სომხეთის ყოფა ქცევაში და მის „რევკომის" პოლიტიკის გეზში დიდათ ვართ ჩვენ დაინტერესებულნი. სომხის ბედაურნი ჰდროს მეთაურობით იმ ხმებს მიხედვით რომელიც ვრცელდება საქართველოს სამტროდ აპირებენ ბუკი და ნაღარის დაკვრას.

ქართველი დემოკრატია როგორც ყოველთვის ისე დღესაც ყოველმხრივ შეეცდება, რომ „გაწითლებულ" მეზობლებთან მშვიდობიანობა არ დაირღვეს, მაგრამ თუ მაინც გამართლდა ეს ხმები, სომხეთმა აქევე უნდა იცოდეს რომ იგი სდგამს საბედისწერო ნაბიჯს.

ეს ავანტიურა სომხეთის სიკვდილთან გათამაშებას შეედრება და ჩვენ გულწრფელად ურჩევთ სომხის ხალხს ერიდოს ის ამას.

ჰქმა არ უნდა ავანტიურისტ ჰდროს 1918 წ. სანაინის გაიძვერობის ბოროტ არტისტს გული არ დაუდგება რაიმე ახალი საქმის დაუწყებლად, რომ ამით თავი მოაწონოს ახალ ბატონს, საბჭოთა, რუსეთს, მაგრამ ნუ ინებებს და ნუ გაგვხდის ჩვენ თავის თავის სასახელოებელ ობიექტად. თორემ შეიძლება სახელის წასვლად უმნოთ თავი წააგოს.

თუ მაინდამაინც მკლავს ერჩის და რაინდობა შესწევს დამონებული სომხის ხალხი დაიხსნას.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაფრთხილებთ „წითელ" სომხეთს, კომუნისტურ სომხეთს.

ყველამ იცოდეს რომ საქართველოსკენ გამოქანებული ავანტიურის რაში წითელ ხიდთან და სანაინთან იტეხს კისერს.

სომხეთში ანარქიის ტალღები ლიპლაპებენ, სომხეთი ირგვლივ წყეულდმა მოიცვა, უზომოდ ისჯება მშრომელი ხალხი, იქ შევიდა წითელი რუსის არმია და თავის გამოკვებას გაძვალტყავებულ ხალხს დააკისრა..

ამ დროს კეთილ გონიერი კაცი სომხეთს თავის წასაგებ ავანტიურისკენ წაიყვანს?!..

ეს მხოლოდ ბ. ბ. ჰდროებისთანა ქვეყნის მესვეურებს თუ შეუძლიათ. საქართველო ისევ აფრთხილებს და ებნება შორს ის ეშმაკეული ხელი რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობია 1918 წ. უდანაშაულოდ დაღვრილი სომხის მშრომელი ხალხის წმინდა სისხლი.

ჩრაკლი.

# დამფუძნებელ კრების წევრთა მუშაობა ბათომის ოლქში.

(ინტერვიუ ქალაქის მოურავთან ბ-ნ გიზო ანჯაფარიძესთან).

შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის თხოვნით მე გავემგზავრე ბათომის ოლქში, სადაც დავყავი ორ კვირაზე მეტი ვიყავი იმერხევს, შავშეთს, არტანუჯს და ართვინ მურღულის რაიონებში.

ბათომის ოლქში ხშირად ვყოფილვარ, აქ ხალხის გულისცემისთვის მე ყური დამიგდია როგორც ოსმალოთა შემოსევის დროს, ისე ინგლისელების ბატონობის ჟამს, ასე რომ ოლქი ჩემთვის უცნობი არ იყო. მაგრამ ეს მგზავრობა საგანგებო და მარად ღირს აღსანიშნავი დარჩება ჩემთვის. ყველგან იქ სადაც კი მივედი შევყარე, ხალხი მოვაწყვე ყრილობები და ვულაპარაკე ხალხს დამფუძნებელი კრების და მთავრობის სახელით, ყველა საჭირბოროტო საქმეებზე და ადგილობრივ საკითხებზე.

საზოგადოთ ჩემი ღრმა შთაბეჭდილება ასეთია, რომ ხალხში მომხდარა სალი გარდატეხა, მთელი ხალხი საქართველოს სახელმწიფოსადმი სრული სიერთგულით და მშვიდობიანად არის განწყობილი, ხალხის გულწრფელი და ერთად ერთი ნატვრა სურვილი, არის ის რომ, როგორმე იქმნას დაზღვეული ხალხი, რაიმე მოულოდნელ შემთხვევისაგან ე. ი. საფრთხისაგან და არევ-დარევისაგან.

როგორ უყურებს ხალხი საქართველოს სახელმწიფოს.

მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ხალხი უსაზღვრო იმედით შეჰყურებს საქართველოს სახელმწიფოს, ამჟღავნებს ბუნებრივ სიხარულს ოლქში საქართველოს ხელის უფლების შეტანის გამო და ჩვენს მთავრობას სთვლის ერთ გონიერ ნიჭიერ მთავრობათ, და მოელის მისგან აღორძინება—ბედნიერებას.

წესრიგი ოლქში რა გაკეთდა ჩვენი შემოსვლით.

ის რაც ხუთი თვის განმავლობაში გაკეთდა საქართველოს სახელმწიფოს ხელით ერთ საოცნების საქმეს შეადგენს.

მახსოვს ეს ოლქი, როცა ერთ სოფლიდან მეორე სოფელში გადასვლა ხალხს ეშინოდა, როცა აქ მეფობდა მისიური მკვლელობანი, თავდასხმები და ძარცვა-გლეჯა ყაჩაღობა. ასე იყო რუსთა ხანაში ასევე დარჩა ოსმალთა დროს და უფრო გაიზარდა კიდევ ინგლისელების ოკუპაციის ხანაში. და ეს მარტო ბათომის ოლქში კი არ ხდება ასე, სადაც საქართველო შედის ყველგან შეაქვს ფხიზელი და მტკიცე წესრიგი, მყისვე ბოლო ედება ანარქიას და არევ დარევას. მე მახსენდება სოჭის ოლქი, რომელიც ანარქიის ცეცხლში იწვოდა, მაგრამ შევდგით თუ არა ჩვენ იქ ფეხი პირველ დღიდანვე ნორმალი მდგომარეობა დამყარდა.

ხალხი გრძნობს ამას ხალხი გრძნობს საქართველოს ხელის უფლების სიმტკიცეს და ამიტომ არის რომ ასეთი პატივით გვეპყრობა.

ადმინისტრაციის შესახებ.

ის ხმები, რომელიც ოლქში მომქმედ ადმინისტრაციის შესახებ გავრცელდა თითქოს ის თავის მოწოდების საფეხურზე არ იდგეს და ხშირად კიდეც ბოროტმოქმედებდეს. მე ვაცხადებ, რომ სინამდვილეს ნაწილობრივადაც არ შეესაბამება.

გარდა იმისა, რომ ხალხი ყველგან აბსოლიუტურად კმაყოფილია ადმინისტრაციისა და ითხოვს, რომ ადმინისტრაცია ყოველთვის მთავრობიდან იქმნას დანიშნული მე ვნახე ფაქტებით, რომ ადმინისტრაცია არა თუ მარტო თავის სიმაღლეზე სდგას არამედ ალაგ ალაგ კიდეც აჭარბებს და პირდაპირ კეთილ მქმედის როლში გამოდის. ისე ყველგან ადმინისტრაცია სადაც კი ვიყავი მე თავის სიმაღლეზე სდგას და მას არავითარი ნაკლი არ აქვს, რასაც თვითონ ხალხი აცხადებს.

ხალხის საჭიროებანი.

ხალხი სასურსათო კრიზისს განიცდის იგი თხოულობს პირველ აუცილებელ მოთხოვნილების საგნათა მიწოდებას და საერთოდ შუამდგომლობას მთავრობის წინაშე რომ სიმინდით დაეხმარონ ოლქს.

კ ო ო პ ე რ ა ტ ი ვ ე ბ ი.

ყველგან ხალხი უსაზღვრო სიხარულით ეგებება კოოპერატივის სახელს და მოითხოვენ მომმარაგებელ საზოგადოების დაარსება—მოწყობას.

ს კ ო ლ ე ბ ი.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, სკოლები არსებობს, მაგრამ ქართული ენის მასწავლებელი რომელიც ხალხს მოუთხოვია ჯერ ყველგან არ არის.

გ ზ ე ბ ი.

გზები ალაგ-ალაგ საშინელია, ასეთ ზამთარში მოგზაურობის დროს კაცი თავდადებული უნდა იყოსო ამბობდა ხალხი.

დიდი ზამთარი.

წელს მეტად დიდი ზამთარი მოვიდა, გზები და ბილიკები ყველგან თოვლით არის გაწყვეტილი, უკანასკნელ დროს მე შევრჩი დათოვლილ სიკორის უღელტეხილს საიდანაც ხალხის დახმარებით და გზის ჩვენებით ჩამოვედი.

სომხების თხოვნა.

აქაურ მცხოვრები სომხები, რომლებმაც მთელი სისაშინლით განიცადეს სხვა და სხვა შემოსევათა უბედურება გამოცხადდნენ ჩემთან და მთხოვდნენ შუამდგომლობას რადგან ისინი აწიოკებული და წელში გატეხილი არიან სამხედრო ბეგრისაგან გაენთავისუფლებინა მთავრობას. მათ დავპირდი შესაფერ შუამდგომლობას.

ქემალ-ფაშის შესახებ.

ხალხს სხვანაირი მთავრობა გარდა საქართველოსა არ უნდა, მით უმეტეს არავის უნდა ქემალ-ფაშის მთავრობა, ართვინისკენ მრავალი ოსმალეთში ნაცხოვრები მუჰაჯირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც საშინელებით იგონებენ ოსმალურ რეჟიმს და ღმერთზე ლოცულობენ რომ მისგან ყოველთვის თავი დაახწიონ ამ ოლქმა. გარდა ამისა ხალხმა იცის რომ დღეს ქველი ოსმალეთი აღარ არსებობს და ქემალის მოძრაობას უყურებენ როგორც ჩვეტების მოძრაობას, რომელნიც ხალხს აწიოკებენ და განსაკუთრებით ამიტომ ქემალის არავის არაფერი არ სწამს.

დასკვნის მაგიერ.

მე ვაცხადებ ღრმა დაკვირვების შემდეგ, რომ ოლქის მცხოვრებნი აბსოლიუტურ სიერთგულით არიან ჩვენსადმი განწყობილნი და მათგან სახელმწიფოს არავითარ საფრთხე არ მოელის".

## კომუნისტური პრესა.

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულია შემდეგი კურიოზული წერილი რედაქციის მიმართ აბაშის კომიტეტისა:

„ამხ. რედაქტორო! ვილაც უპასუხისმგებლო პირები ახერხებენ ჩვენდა დასამცირებლად, რედაქციის მეცდომაში შეყვანას, როგორც მაგალითად „ახ. კომუნისტს" № 29 ში მოთავსებული მისასალმებელი წერილი რუსულ ენაზე გამოსულ „კომუნისტი"-ისადმი ვითომდა ლომე თოფურიასი და ღრიმი ჩაჩავასი ხელმოწერილი. პირველი მათგანი ქკუთ ნაკლებია და აცინებს საზოგადოების უსაქმო ნაწილს: ხოლო მეორე ყრუ, მუნჯი და გლახაკია, რომელიც ხაშთარ-ხაფხულ შეშლილი გოროავს აბაშის სხვა და სხვა ქუჩებში, ასეთი ლიტერატურული უსინდისობის ჩამდენი და მისი პარტიის კაცუნებიც კი გრძნობენ თავის უშნო საქციელს".

# ქრონიკა.

შაბათს 18 დეკემბერს ქალაქის გამგეობაში ნაშუადღევის 4 საათზე მოხდება ბათომის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების შეერთებული კრება..

ექიმთა საზოგადო კრებაზე დაადგინეს, რომ სთხოვონ მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომ ექიმებს გარდა ჩვეულებრივ ბინის ნორმისა მიეცესთ კაბინეტი და მისაღები ოთახი.

მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის ლაატუსალეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს ა.. კაპოკენკა.

მაიორი სტალინი ჩეხოსლოვაკიის წითელი ჯვრის წარმომადგენელი საზღვარ გარეთ გაემგზავრა მას განზრახვა აქვს ჩავიდეს მოსკოვს რუსეთიდან ვოფილ სამხედრო ტყვეების ჩეხოსლოვაკიების სამშობლოში გასაგზავნად.

საერთაშორისო წითელ ჯვრის კომისიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ბათომის სამკურნალო სააავადმყოფო დაწესებულებები და იქ საქმის დაყენება სრულიად დამაკმაყოფილებლად იცნეს

„ბათომის ფურცლის" რედაქცია აუწყებს ყველა სამხედრო ნაწილებს და გუნდებს რომ მათთვის გაწერილი გაზეთები ხუთ-ხუთი ეკზემპლიარი თითომ გარდა მეოთხე ათასეულისა მიიკითხონ ყოველ დღე მიხეილის ქუჩაზე შმაევსკის სტამბაში საღამოს 6 საათზე.

ბათომში არსებულ ტან-ვარჯიშობის საზოგადოება შევარდენისთვის საჭიროა სავარჯიშო ნივთები, ტანისამოსი და სხვა. საზოგადოება მიიღებს ამ ნივთებს დიდის მადლობით შემოწირულებად ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შეეცდება მათ ფულით ყიდვას.

დღეს ბათომში მოელიან ჯარების სარდალს გენ. ზაქარია მდივანს.

უკვე დაიწყო მუშაობა ჩაძირულ გემის სვეტის ამოსაღებათ.

ებრაელთა შორის.

ებრაელთა ეროვნულ საბჭოში მომხდარი არჩევნები ფორმალურ მოსაზრებებით უკანონოთ იქმნა ჩათვლილი. ახალი არჩევნები მოხდება ამ დღეებში.

## ბათომის „შევარდენი".

ბათომის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენს" აქ საფუძველი ჩაეყარა იმ დროს როდესაც ბათომს სულ სხვა უცხო ტომის ხალხი ფლობდა და სავარჯიშოთ მაშინ არ მოეპოებოდა არც სახლი და არც ეზო. მიუხედავათ ამისა მაშინდელი ქართული გიმნაზიის მოწაფეთა მშობელთა წრის დახმარებით, დიდ შედეგს მიაღწია რამოდენიმე თვის განმავლობაში. მაშინ როცა ბათომს დაეპატრონა მისი ისტორიული პატრონი საქართველო მას შემდეგ ასეჩაეფლო ყველა ბათომის მოღვაწე საქმეებში, რომ ერთმაც არ მოისურვა ეკითხათ არსებობს თუ არ „შევარდენი" ან რა პირობებში არის თუმცა ამისთვის „შევარდენის" საზოგადოების წევრებს კომიტეტიც ყავდა ამორჩეული შვიდი კაცისაგან, მაგრამ იმათაც დაუდევრობა დასჩემდათ და ერთხელაც ვერ შეიკრიბენ საქმის მოსაგვარებლად, რაც მათ არ ეპატიებათ.

ბატონებო თუ დაუკვირდებით დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას დაინახავთ, რომ ფიზიკურად გადაგვარების გზას ვადგავართ განსაკუთრებით შავი ზღვის პირად. მცხოვრებს ქართველებს სხვა და სხვა ავადმყოფობით მაგალითად: „პლევრით" და უფრო რომ ვსთქვათ „მალერიით" ციებით და სხვა. სიცოცხლე უქრებათ ჯერ ახალ გაზრდა ადამიანს, შეხედავთ სახეზე გაყვითლებულს თვალის კილოებ გაშავებულ წელში მოხრილს საცოდავად მოსიარულეს და სიბრალულით გული გეტკინებათ ეს ხდება მაშინ როდესაც სულ ადვილად შეიძლება თავის დახწევა ასეთ ავადმყოფობისაგან ისიც მხოლოდ და მხოლოდ ტან-ვარჯიშობით. რომელიც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ადამიანისთვის-ეს მე ღრმად მრწამს და ამიტომაც ჯერ-ჯერობით იდევ ვაწარმოებ ბათომის „შევარდენის" ტან ვარჯიშობას მაგრამ აქაურ „შევარდენს" ამ პირობებში არსებობა არავითარი გზით არ შეუძლია თუ მას არ ექმნა შესაფერი ბინა თავისი გასახდელ საბინაო ოთახებით, სინათლით გათბობით და კანცელარიით სავარჯიშო იარაღებით მართველი ორგანოს ე. ი. კარგი საბჭოს სათავეში ჩადგომითა და მასთან კარგ ფიზიკურ და ზნეობრივ ხელ მძღვანელის მეთაურობით როგორიც არის „ვარჯიშთავი".

ყოველივე ზემო ჩამოთვლილი უბრალო ადვილი მოსაწყობია თუ. ამას მოინდომებს ბათომის ფართო საზოგადოება, ამითი დიდ ამაგს დასდებს მომავალ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს როგორც ოჯახისათვის ისე სახელმწიფო სამშობლოსათვის, ამიტომ მიიღეთ ჩემი გულწრფელი მიმართვა პატივცემულო საზოგადოებავ და მიეცით თქვენი შვილები ძმები, დები ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შ ე ვ ა რ დ ე ნ შ ი" ამ „შევარდენში" ვარჯიშობა სწარმოებს იმ წესით როგორიც წესიდაც დასწერა და აწარმოვა ჩეხეთის გამოჩენილმა პროფესორ-მკურნალმა „ტირშმა". მისი ნაწარმოები საქართველოს ცენტრალურ შევარდენის საბჭოს ღრმად აქვს შეთვისებული იმავ წესდებით ხელმძღვანელობს ერთი სიტყვით ხსენებული საზოგადოება ფრიად სასარგებლო და ერთგვნულ სიმპატიური დაწყებულებაა და მისდამი ქართველი გულცივობა როგორმე უნდა დავსძლიოთ. თუ გინდათ თქვენ ჯან მაგარნი, კოხტად მაღალნი და შესახედავად ვაჟკაცნი სიცოცხლით ალსავსე თაობის წარმომადგენელნი გყავდეთ აღიცხლეთ ეს კეთილშობილი საზოგადოება მისგან სარგებლობა დიდი იქნება.

ვლ. აბ—იანი.

## მოქალაქენო!

ფრონტის სასარგებლოდ ფულებისა და ნივთების შესაგროვებლად ამ დღეებში ჩამოივლიან კომიტეტის რწმუნებულნი! მოვემზადოთ!...

— მოქალაქენო! ფრონტს თანაგრძნობა და გამაგრება ესაჭიროება! ამისთვის ფულსა და ნივთებს ნუ დავიშურებთ! უხვად გავსცემდეთ!..

— მოქალაქენო! ფრონტის სიმაგრე ჩვენი ოჯახისა და კერის სიმაგრეა არის! ფრონტი ჩვენ გვიცავს, ჩვენც მას ნუ დავივიწყებთ!

— მოქალაქენო! ვაგრძნობინოთ ჩვენი ქვეყნის დამცველთ, რომ ჩვენც მათთან ვართ!.

ფრონტის კომიტეტისთვის ჩვენი წვლილი გავიღოთ!..

ფრონტის დამხმარე

ბათომის კომიტეტი.

## ხანდის ხან.

გაზ. „სამუსლიმანო საქართველო"-ს განუზრახავს ოლქის სასურსათო საქმე თავის რედაქციაში გადიტანოს და ამის შესახებ შესაფერ მოხსენებითაც შესულა მთავრობაში.

გაზეთი უწუნებს ქალაქს სასურსათო საქმე ვერ მოაწყვე შენ ხალხს არც შაქარს აძლევ არც ძროხის რძეს არც თეთრ პურს და არც ყარაჩის ცხვრის ბარკალსო.

ასე ექცევი ბათომის მოქალაქეს, ხოლო ოლქი სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებულიო. მომეცი მე ეგ საქმე და მაშინ გაჩვენებთ ყველას სიხარულსო. ბათომელები მიიღებენ შაქრი-ყინულს, გამხმარ რძეს, რადგან ძროხებს სულ სახოროცეზედ დავკლავთ „კულიჩ" პურს, და ყარაჩის ცხვრის ბარკლის მაგიერ ნანადირევ შველის სუკს ხოლო დრო გამოშვებით ალმოსავლეთურ საუზმისათვის დავარიგებთ ჩვენკანვე ნანადირევ ბულბულის ენებსო.

ჩვენ გვგონია ამ წინადადებას მიიღებენ „კერპნი" ამა ქვეყნისანი.

ქველი.

## ტრაპიზონის ცნობები.

— იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება, რომ ოსმალეთში სამხედრო და საეკონომიო კონტროლი გადაეცეს ინგლისის სარდლობას, ინგლისისავე სარდლობას რჩება დარდანელის მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდლობა.

## უკანასკნელი საათი.

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლად დანიშნა გენერალი ოდიშელიძე.

## საქართველო და საფრანგეთი.

(თბილისში მყოფ საფრანგეთის უმაღლეს კომისრის შევალიეს განცხადება).

საქ დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ბ-ნ შევალიემ შემდეგი განაცხადა: საქართველოს კარგათ იცნობდა საფრანგეთი, მაგრამ ევროპაში მყოფმა საქართველოს მისიამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო ნათლად დახატა საქართველოს როლი, გაეცნო მის შესაძლებლობას და საჭიროებას. მე ვიმედოვნებ, რომ დამოკიდებულება საფრანგეთისა და საქართველოს შორის უფრო განმტკიცდება. მე ვისარგებლებ შემთხვევით, რომ უარვყო წინადადება, თითქოს საფრანგეთსა და ანტანტას ჰქონდეს რაიმე განზრახვა საქართველოს თავის აგრესიულ მოქმედებისათვის ბაზად გამოყენებას. სახელდობრ, თითქოს საფრანგეთს სურდეს საქართველოს გამოყენება სამხედრო, საზღვაო, პოლიტიკურ ან სხვა პროპაგანდის სახით. ცხადია, მე დავიცავ საფრანგეთის ინტერესებს, რომელიც ამავე დროს არის მასთან შეკავშირებული სახელმწიფოების ინტერესებიც, მაგრამ საფრანგეთის ინტერესს შეადგენს საქართველოს განვითარება და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება. საფრანგეთის ინტერესები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს, და საქართველო, როგორც მე მესმის, მიისწრაფის კეთილდღეობისაკენ და თავის თავისუფლების განმტკიცებისაკენ. მე ვფიქრობ, რომ მთელი აღმოსავლეთის და მთელი ქვეყნის ინტერესებიც მოითხოვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოების არ-

სებობას ამიერ-კავკასიაში, სადაც ორ ცივილიზაციას—აღმოსავლეთისა და დასავლეთისას შეეძლოთ შეხვედრისას გაეცნოთ ერთი მეორე, გამსჭვალულიყვნენ ურთი-ერთი აზრებით. საქართველო ერთი ამ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა თვითვე განაგოს თავისი ბედი. საქართველოს აგრესიულ მიზნისათვის ბაზად გამოყენება ეწინააღმდეგება როგორც საფრანგეთსა და საქართველოს ინტერესებს, ისე მთელი აღმოსავლეთის ინტერესებსაც. ჩემი მისია—არის—მისია ზავისა და არა ომის, კეთილ განზრახვებისა და არა ძალდატანებისა.

საქართველოსა და სომხეთს აღმოსავლეთში ისეთივე როლის თამაში შეუძლიათ, როგორსაც თამაშობს დემოკრატიული შვეიცარია დასავლეთში. მე დავუმატებ, რომ არა მარტო საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენ დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას, არამედ ამას მოითხოვენ აგრეთვე საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების ინტერესებიც მთელი ქვეყნის სახელმწიფოები ამ ჟამად ნედლი მასალისა და ფაბრიკატების კრიზისს განიცდიან. საქონლის გაცვლა-გამოცვლის გაადვილება და გზათა მიმოსვლის გაუმჯობესება, ასეთია მთელი ქვეყნის სახელმწიფოთა მიზანი. საქართველო არის ბუნებრივი გზა დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის ეს გზა უნდა გაიხსნას პირველ შეძლებისათანავე. ეს პირობა არის აუცილებელი მთელი ქვეყნის ნორმალური წესიერების აღსადგენად. ამ გზის დაკეტვის მსურველნი არიან არა მარტო საქართველოს, არამედ თავისივე ქვეყნის მტრებიც. შეიარაღებულ ძალით ჩარევის სურვილი, იქნება ეს შინაგან რევოლიუციისა თუ გარეშე ძალის გავლენის სახით, თავისთავად ამ გზის დაკეტვას უდრის. მართლაც, ყოველი სახელმწიფო, რომელიც მოინდომებს ამ სახით საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას, თავის თავად გამოიწვევს სხვა სახელმწიფოების შესაფერ ზომებს საქართველოს დაცვისაკენ მიმართულს. ანტანტას არას გზით არ სურს შექმნას საქართველოში ახალი ფრონტი. მაგრამ თუ საქართველო გახდა ობიექტი შინაურ ან გარეშე მტრების თავდასხმისა, თუ მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩავარდა, კარები, რომლის საშუალებითაც შეიძლება კავკასიის გზით აზიასა და ევროპის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობა, მჭიდროდ ჩაიკეტება. ვინ უფრო დაზიანდება ამით: დასავლეთი ევროპა თუ რუსეთი და კავკასიის სახელმწიფოები? მე ვფიქრობ ყველა. დასასრულ მე ვიტყვი: ჩემი მისია მდგომარეობს არა იმაში. რომ ვისმეს დავცეთ, არამედ იმაში, რომ დავიცვა საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება და შევინახო მასთან მეგობრული განწყობილება.

თქვენ შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომ ბრკოლდება ასეთ შემთხვევაში საქართველოს იურიდიული აღიარება, მე გიპასუხებთ: ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მისი გადაწყვეტა შეუძლია ევროპას. მაგრამ მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს იურ დიულ აღიარებას საფრანგეთი არ შეაჩერებს. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხი მთელი საუკუნოების განმავლობაში ცხოვრობდა დამოუკიდებლად, და იგი ღირსია ყველა სუვერენულ უფლებისა, რომელიც კი აქვს რომელიმე ერს. საქართველოს როლი უცვლელია, ვინაიდან მისი საქმე არის მართალი და სამართლიანი. საქართველო არის ერთად ერთი კერა მთელ მსოფლიოში, ეროვნულ თავისუფლებისა და დემოკრატიულ გრძნობისა. ვიტყვი დასასრულ—შეუძლებელია, რომ მისი დროშა ძირს დაეშვას. (სდს)


სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74.



კავკასიური
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობს ბითუმად, ბოჭკებით და ბოთლებით.
კუპის ლიქიორი
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სადილის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.
ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალიდვინდიან. სუფრის და მისაძღვრის თავიდან აკეთებულნი ყოველმომხმარებელთ, რითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიღებულია.


## ჯარის კაცის დღიური.

სამშობლოს საზღვრები დანისლულია მტრებს ვხედავთ ყველგან გაფაციცებით. ამხანაგები ჯარის-კაცები ვაკეებში თავდადებაში ერთი ერთმანეთს ეცილებიან. მტერი ვერ გაგვტეხს სანამ მთავრობა ხალხის ნდობასა ეყრდნობა მთლად. ეს იცის მტერმა და მას მრავალ ჯგუფებში ჩვენ გარშემო, მიყვარს სამშობლო რომ მისი ხალხი დღეს საარაკო სამეფოა.

მიყვარს სამშობლო, რომ მის მთავრობას გულში არ უდევს შური და მტრობა.

ჯ. კ. ს-ძე.

## სხვა და სხვა.

— ინგლისის მთავრობის განკარგულებით სტამბოლში შეუდგენ ან ფრანგელის ჯარების განიარაღებას. იარაღებს შეინახავენ სტამბოლის მოკავშირეთა ცეიხჰაუზში.

## მუშათა ცხოვრება.

15 დეკემბერს შრომის ბირჟაზე მივიდა 52 კაცი აქედან 28 კაცი და 24 ქალი. ახლად ჩაეწერა 12 კაცი, ამათგან 5 კაცი 7 ქალი გაიგზავნენ სამუშაოზე ორი მზარეული ორი მსახური, ერთი გამზრდელი-ძიძა და ერთი მკერავი.

16 დეკემბერს საჭირო იყო ერთი გამყვრელი და ერთი გამწევავი.

სარედაქციო კოლეგია.



ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.
პარასკევს 17 დეკემბერს
დიდი წარმოდგენა
უკანასკნელი ბენეფისი
ა. ა. დუროვისა
მოიყვანს ორი წყვილი
1. მეორედ—სამდღეოს წინააღმდეგ.
2. მუშა—მხედრის წინააღმდეგ.
ამ დღეებში გვერდი საზღაროთ.



ბათომის მუშათა მაგიდა.
აცხადებს, რომ 17 ამ დეკემბრიდან დღეობის ნაცვლად.
ოჯახზედ მიეცემა 20 გირვანქა.
სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს ფუთი 80 მანეთად და საზოგადო და კერძო დაწესებულებებს კი ფუთი 400 მანეთად.
ნავთის მიღება შეიძლება ჯგუფებათ და ცალ-ცალკე.
მუშათა მაგიდა.
3—3



თიყიდება
ავტომობილის მთელი ზედა ნაწილი,
ე. ი. კუზა
პირობის გაგება შეიძლება კავკავის და თბილისის ქ. კუთხე მეშის საწყობი
პ. სადრამესიან.



განცხადება
გვაქ პატივი ვაცნობოთ ბ ათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვე
მმ. აბულაძეებმა გავხსენით
სასადილო
ნორიაში, ასათიანის და შუბლაევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება
იმერული საჭმელები.
და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ჩქარა
საწვდენათ და ზომიერ ფასებში.
საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.
პატივისცემით ანტონ აბულაძე,


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ჳ. შმაევსკისა, მიხაილოვის ქ. №21 ბათუმი.